




ხაშყრის ძიამბუ



№5 (136)

22 იანვარი, ორშაბათი,

2018 წელი

აღინიშნა საქართველოს სახელმწიფო დროშის დღე საზეიმო მიღება პარლამენტში

14 იანვარს, საქართველოს სახელმწიფო დროშის დღის აღსანიშნავად, პარლამენტში საზეიმო მიღება მოეწყო. მიღებას პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ უმასპინძლა. დამსწრეთა შორის იმყოფებოდნენ ჩვენი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები – მუნიციპალიტეტის მერი გიორგი გურასპაშვილი და მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ ჯანაშვილი. სიტყვით გამოსვლისას, პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სახელმწიფო სიმბოლოების აღდგენაზე მუშაობა დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან დაიწყო და დიდი სამუშაო იქნა გაწეული იმისთვის, რომ დადგენილიყო, თუ როგორი დროშა ჰქონდა ქართულ სახელმწიფოს ისტორიული დროიდან. ირაკლი კობახიძემ ამ საქმეში შეტანილი საკვანძო წვლილისთვის პერალდიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს, ელდარ შენგელაიას მადლობა გადაუხადა.

შეასრულა მან ამ ყველაფერში და ძალიან მნიშვნელოვანია, რომ დღესაც ის ხელმძღვანელობს ამ ძალიან მნიშვნელოვან საქმეს პერალდიკის მიმართულებით”,- განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ.

ირაკლი კობახიძემ აღნიშნა, რომ საქართველოს დროშა, რომელიც ერთ-ერთი უძველესი დროშა მსოფლიოში, წარმოადგენს არაერთი სახელმწიფო წყობილების, ხელისუფლების ან პოლიტიკური ჯგუფის სიმბოლოს, არამედ, გამოხატავს მთლიანად ჩვენი სახელმწიფოსა და საზოგადოების ისტორიულ გზასა და ღირებულებებს. მისივე თქმით, დღეს პარლამენტში მუნიციპალური სიმბოლოებია გამოფენილი, რომელთა შექმნის პროცესს, კოორდინაციას პერალდიკის სახელმწიფო საბჭო ათი წლის განმავლობაში უწევდა.

“ჩვენ სიამაყით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ძალიან დიდი გემოვნებით არის შესრულებული თითოეული მუნიციპალიტეტის სიმბოლო, თითოეული მუნიციპალიტეტის სიმბოლიკა. დღეს უკვე ყველა მუნიციპალიტეტს, გარდა ოკუპირებული ტერიტორიებისა და გარდა ქალაქ თბილისისა, აქვს დამოუკიდებლობის პირობებში თვითმმართველი წარმომადგენლობის მიერ შექმნილი საკუთარი დროშა და გერბი, რომლებიც ღირსეულად წარმოადგენს ჩვენს სახელმწიფოს და ჩვენს მუნიციპალიტეტებს”,- განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ.

სიტყვით გამოსვლისას, პერალდიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, მამუკა გონგაძე, პირველი რესპუბლიკის სიმბოლოების-ძველ დროშისა და გერბისთვის ისტორიული მემკვიდრეობის სტატუსის მინიჭების ინიციატივით გამოვიდა.

საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი საზეიმო მიღებაზე თბილისის ახალგაზრდულმა გუნდმა შეასრულა. ღონისძიებაზე გამოფენილი იყო საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტის გერბი და დროშა, ასევე, თვითმმართველი ქალაქების სიმბოლოები. გარდა ამისა, მოწვეულ სტუმრებს საშუალება ჰქონდათ, დაეთვალიერებინათ მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმებიდან და ბიბლიოთეკებიდან მოპოვებული პორტოლანები (სახლვაო რუკები), რომლებზეც საქართველო ისტორიული სუთჯვრიანი დროშითაა გამოსახული.

საზეიმო მიღების შემდეგ, ჩვენ კომენტარები ვთხოვეთ მუნიციპალიტეტის წარგზავნილებს.

გიორგი გურასპაშვილი: – მართლაც ღამაში დღე იყო. ჩვენი დროშა თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობის გამომხატველია და საქართველომ მრავალი საუკუნის განმავლობაში იბრძოლა იმისთვის, რომ ერი სახელმწიფო დროშის ქვეშ გაერთიანებულიყო. სასიამოვნოა, რომ ჩვენი მუნიციპალიტეტის დროშაც ამშვენებს პარლამენტს, დროშა, რომელიც იმ სიმბოლოებითაა დატვირთული მუნიციპალიტეტის საერთო სახეს რომ ასახავს. ყველას ვულოცავ ამ დღეს.

მიხეილ ჯანაშვილი: – დროშა ჩვენი ისტორიის, მრწამსის და თვითმყოფადობის სიმბოლოა, რომლის დაცვისა და ჩვენამდე მოტანისათვის წინაპრებმა ყველაფერი დათმეს. ამიტომაც, ჩვენ, თანამედროვეებს, განსაკუთრებული პასუხისმგებლობა გვეკისრება, მათ შორის უპირველესი კი ეროვნული სიმბოლოების ქვეშ გაერთიანება.



„ამ კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, 1999 წელს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება სახელმწიფო ატრიბუტიკის შეცვლის თაობაზე და ამის საფუძველზე, 2004 წლის 14 იანვარს საქართველოს პრეზიდენტმა ხელი მოაწერა უკვე დადგენილებას ხუთჯვრიანი დროშის სახელმწიფო დროშად დადგენის შესახებ და შესაბამისად, 14 იანვარი გამოცხადდა სახელმწიფო დროშის დღედ. მე მინდა აღვნიშნო, რომ ბატონ ელდარ შენგელაიას მიუძღვის ძალიან დიდი წვლილი, საკვანძო როლი

შეხვედრა სტიქიის შედეგების სწრაფი ლიკვიდაციის მიზნით

ხაშურის მუნიციპალიტეტში, სტიქიის შედეგების სწრაფი ლიკვიდაციისა და შემდგომი პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვისა და გატარების მიზნით, საგანგებო შეხვედრა გაიმართა, რომელსაც ესწრებოდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი, საკრებულოს თავმჯდომარე, შიდა ქართლის სამხარეო ადმინისტრაციის, მელიორაციის სამსახურის, საგზაო დეპარტამენტის, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის, მუნიციპალიტეტის სამსახურების და უწყებების წარმომადგენლები. სხდომაში, ასევე, მონაწილეობდა ქარელის მუნიციპალიტეტის მერი. სხდომას ხელმძღვანელობდა შიდა ქართლში სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი კახა სამხარაძე.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გურასპაშვილმა აღნიშნა, რომ დღესდღეობით მიმდინარეობს ამოტუმბვითი სამუშაოები დაზარალებული მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთებისა და სახლების წყლისაგან გასათავისუფლებლად. პარალელურად, იგეგმება პრევენციული ღონისძიებები, რომლებიც მოგვეცემს საშუალებას შემდგომი საფრთხეები ავარიდოთ მოსახლეობას. რუკაზე მოინიშნა სარისკო ზონები, რომელსაც შტაბის წევრები მოგვიანებით ადგილზეც გაეცნენ. დაიგეგმა მდინარე შოლას კალაპოტის გაწმენდითი სამუშაოები. მდინარე ტილიანას გამტარუნარიანობის გაზრდის მიზნით კი სოფელ გომთან მოეწყო წყლის მაღალი გამტარობის მქონე მილხიდი.

სამუშაო შეხვედრის შემდეგ, თათბირის მონაწილეები ადგილებზე გაეცნენ სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოების მიმდინარეობას და დასახეს კონკრეტული ღონისძიებები.

პარალელურად, გრძელდება ზარალის ოდენობისა და მოსახლეობის ინფრასტრუქტურისთვის მიყენებული ზიანის შესწავლა.



- ჩუმათელეთი - ხევს ავტომაგისტრალი -

განიხილეს გარემოზე ზემოქმედების შესაძლო შედეგები

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში, აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის ჩუმათელეთი-ხევს გზის მონაკვეთის მოდერნიზაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართა. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის გარემოს უსაფრთხოების კონსულტანტმა მათა ვაშაკიძემ და შპს „ეკო-სპექტრის“ ექსპერტმა ირაკლი კავილაძემ ისაუბრეს გარემოზე მოსალოდნელ ზემოქმედებაზე და შემარბილებელ ღონისძიებებზე. ჩუმათელეთი-ხევს მაგისტრალი 11,2 კმ სიგრძის მონაკვეთზეა, რომელიც მოიცავს 11 უბანზე 16 ახალი ხიდის მოწყობას და არსებული 5 ხიდის რეაბილიტაციას, რაც ჯამში მიახლოებით 21 ხიდს შეადგენს. შეფასებების შედეგად, მიხეულობს, რომ არსებული ხიდების კონსტრუქციული ელემენტები ვერ უზრუნველყოფენ ადეკვატური ღონის საიმედოობას პროექტით გათვალისწინებულ საექსპლუატაციო ვადაში მოსალოდნელი დატვირთვების ქვეშ მუშაობის პირობების გათვალისწინებით.



აღნიშნავენ აგრეთვე, ხიდის ძირითადი კონსტრუქციული ელემენტების მნიშვნელოვან დაზიანებებს და დეფექტებს, ამიტომ, პროექტანტის რეკომენდაციაა არსებული 5 ხიდი მოიშალოს და ჩანაცვლდეს ახალი ხიდებით. პროექტი მოიცავს გზის განათების სისტემას. გზის განათება დაპროექტდება როგორც მთავარ სავალ ნაწილებზე, ასევე, გზაგამტარების სექციებზე და გზაჯვარედინებზე. ზეგავლენა ფაუნაზე ყველაზე მაღალია. ერთ-ერთ მთავარ შემარბილებელ ღონისძიებად შესაძლოა ჩაითვალოს ავტომაგისტრალზე ზევით და ქვემოთ ცხოველთა გასასვლელების გათვალისწინება, შესაბამისი წესების დაცვით, რაც გულისხმობს გადასასვლელების მოწყობას 200-300მ-დან 3-4 კმ-მდე დაშორებებით (დიდი ზომის ცხოველებისათვის 1-3კმ, საშუალო ზომის ძუძუმწოვრებისთვის 200-300მ-ში). სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდეგ, მიგრირებული ცხოველების უკან დაბრუნების შემთხვევაში, მათთვის ხელმისაწვდომი იქნება სასმელი წყალი. საავტომობილო მაგისტრალის მოდერნიზაციის პროცესში, მცენარეულ საფარზე და ტყის ეკოსისტემაზე მოსალოდნელია მნიშვნელოვანი ზემოქმედება, კერძოდ, სამუშაოების მიმდინარეობისას, აღსანიშნავია, როგორც პირდაპირი, ასევე ირიბი სახის ზემოქმედება. პირდაპირი ხასიათის ზემოქმედებას წარმოადგენს გზის გასხვისების ზოლის მცენარეული საფარისაგან გასუფთავება. მშენებლობის პროცესში, მცენარეულ საფარზე მავნე ზემოქმედების თავიდან აცილების, გამოსწორებისა და კომპენსაციის მიზნით, უნდა შეიქმნას გარემოს დაცვის მონიტორინგის მუდმივმოქმედი ჯგუფი, რომელიც განახორციელებს სამიზნე ტერიტორიების მონიტორინგს გარემოს სხვა კომპონენტებთან ერთად. მშენებლობის ეტაპზე მცენარეულ საფარსა და ტყის ეკოსისტემაზე ზემოქმედება შეიძლება ჩაითვალოს როგორც მაღალი. შესრულებული ანგარიშის ამოცანას წარმოადგენდა აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის ჩუმათელეთსა და ხევს შორის მდებარე მონაკვეთის გაუმჯობესებისა და ექსპლუატაციის მოსალოდნელი დადებითი და უარყოფითი ზემოქმედებების შეფასება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე და ამ ზემოქმედებათა აღბათობის, მასშტაბებისა და გავრცელების არეალის შეფასება, ასევე, აღნიშნულ ზემოქმედებათა თავიდან აცილების ან შერბილების ზომების შემუშავება. ანგარიშში განხილულია მარშრუტისა და საპროექტო ალტერნატივები და იმ გადაწყვეტილებების შერჩევის პროცესი, რომლებიც ყველაზე მისაღებია ეკონომიკური, ფისკალური, ტექნიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით. ანგარიშში შედის გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა, რომელიც შევა სამომავლო სამუშაოების კონტრაქტში, რომლის ფარგლებშიც შესრულდება სამომავლო სამშენებლო სამუშაოები ეკოლოგიურად მისაღები მეთოდებით და რომელიც წარმოადგენს კონტრაქტორისთვის სავალდებულო სავალდებულო მითითებებს.

რიკოთის ახალი გზის პირველი მონაკვეთის - ჩუმათელეთი-ხევს მშენებლობა 2017 წლიდან დაიწყო, გზის პირველი მონაკვეთის მშენებლობას მსოფლიო ბანკი, მეორეს კი აზიის განვითარების ბანკი აფინანსებს. პროექტის დაფინანსებაში სახელმწიფოს წილი 20%-ია. პროექტი, რომელიც სავარაუდოდ, მილიარდ დოლარზე მეტი დაჯდება, 2020 წლისთვის უნდა დასრულდეს.

რეკონსტრუქციის პროცესი, რომელიც ყველაზე მისაღებია ეკონომიკური, ფისკალური, ტექნიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით. ანგარიშში შედის გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა, რომელიც შევა სამომავლო სამუშაოების კონტრაქტში, რომლის ფარგლებშიც შესრულდება სამომავლო სამშენებლო სამუშაოები ეკოლოგიურად მისაღები მეთოდებით და რომელიც წარმოადგენს კონტრაქტორისთვის სავალდებულო სავალდებულო მითითებებს.

რეკონსტრუქციის პროცესი, რომელიც ყველაზე მისაღებია ეკონომიკური, ფისკალური, ტექნიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით. ანგარიშში შედის გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა, რომელიც შევა სამომავლო სამუშაოების კონტრაქტში, რომლის ფარგლებშიც შესრულდება სამომავლო სამშენებლო სამუშაოები ეკოლოგიურად მისაღები მეთოდებით და რომელიც წარმოადგენს კონტრაქტორისთვის სავალდებულო სავალდებულო მითითებებს.

შეშა - სოციალურად დაუცველებს

ახალი მოწვევის საკრებულოს დადგენილების თანახმად, 94 სოციალურად დაუცველს, წინასაახალწლოდ შეშა გადაეცა. მათი შერჩევა დაბალი სოციალური ქულების საფუძველზე მოხდა. აღნიშნული ფაქტის განხორციელება ა(ა)იპ „სავანეს“ დაევალა, შედგა კომისია, რომლებმაც უზრუნველყვეს სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის შეშის დარიგება.

დიმიტრი ზავარინი ა(ა)იპ „სავანეს“ თანამშრომელი, კომისიის წევრი):

„აღნიშნული შეშა გაზაფხულიდან იმყოფება „ხაშურსერვისის“ ტერიტორიაზე, რომელიც ეკუთვნოდა ეკონომიკის სამინისტროს, მისი განკარგვის უფლება ჩვენს მუნიციპალიტეტს არ გააჩნდა. ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის ძალისხმევით, მოხდა ამ შეშის გადმოცემა და განკარგვის უფლება. საკრებულოს დადგენილების საფუძველზე, შეიქმნა კომისია, რომელმაც 94 სოციალურ ოჯახს ახალწლამდე გადასცა 2 კუბურიმეტრი შეშა. ვინც ვერ მოხვდა ამ ეტაპზე სიაში, შესაძლებელია მომავალში მათი დაკმაყოფილებაც.“



შეხვედრა მწერალთან

17 იანვარს, სურამის №2 საჯარო სკოლაში სასიამოვნო შეხვედრა შედგა მწერალ, პოეტ და დრამატურგ ნინო სადღობელაშვილთან. მწერალმა დამსწრეთ უსაუბრა საკუთარი წიგნების შესახებ, როგორებიცაა: „წამი იქა, წამი აქა“, „ორსული“ „ბამბაზის სამოთხე“, „იასამნის სეზონი“ და სხვა. შეხვე-

დრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა, სკოლის მოსწავლეებმა საინტერესო კითხვები დაუსვეს საყვარელ მწერალს. შეხვედრის ორგანიზატორები გახლდნენ ბავშვთა და მოზართა განვითარების ცენტრის პედაგოგი ნინო დოლიძე, სურამის №2 საჯარო სკოლის დირექტორი დალი ბროლიძე, დირექტორის მოადგილე ნინო კიკნაძე და გამომცემლობა „ინტელექტის“ რედაქტორი ზვიად კვარაცხელია.



(დასასრული. დასაწყისი იხ. „ხაშურის მოამბე“ №4)

კიდევ ერთი საყურადღებო სტატიაა გაზეთ „ცნობის ფურცელი“ 1898 წლის ნომერში, სადაც, ამჯერად, ვხვდებით ვინმე „მედავიტენე სერგოს“ სტატიას სათაურით „გაუთავებელი დავა“. ცხადია, დუმაცხოვი გაზეთ „კვალში“ დაწერილმა ბედნიერმა ისტორიამ თავადისა და გლეხის შესახებ მათ შორის დაპირისპირება ვერ აღკვეთა. ბუნებრივია, მას ჰქონდა უფრო ღრმა და მიმე მიზეზები, რომელიც ამ სტატიაშია წარმოდგენილი:

„ს. დუმაცხოვი მდებარეობს მდინარე ფრონის პირათ და შეადგენს ოცდაათ მეკომურ გლეხს, სამი კომლი თავადით. ს. დუმაცხოვი არის საბატონო და ეკუთვნის თავად კონსტანტინე წერეთელს. ეს სოფელი ბუნებას უხვად დაუჯილდოვებია და ბლომად მიუნიჭებია მისთვის ბლომი და ნაყოფიერი ადგილ-მამულები, მნახველი იფიქრებს: „აქაური მებატონე და გლეხობა ძალიან მდიდრულად უნდა სცხოვრობდნენ“.

მაგრამ ტყუილად იფიქრებს! დუმაცხოვი არის ზემო ქართლის ერთი უღარიბეს სოფელთაგანი. მიზეზი მისი ასეთი სიღარიბისა არის: ამაყობა, შური, ურთი-ერთ-მანეთის ქიშპობა და განუწყვეტელი საჩივარი ბატონსა და გლეხთა შორის, რის გამოც გლეხებიც ძალზე არიან გაღატაკებული და მებატონე კიდევ უარესათ. თითქმის ოცი წელიწადი იქნება, რაც გლეხებსა და ბატონს შორის გაუთავებელი საჩივარია და ორსავე მხარეს აზარებელი ფული ეხარჯება. რა გაამდიდრებთ ან ერთს და ან მეორეთ?! მებატონეა, და თავის შემოსავალს „ადგოკატებს“ ურიგებს, ოღონდ გლეხები ჩემ ნებაზე დავიმორჩილოვო, გლეხები არიან და თავიანთ ნამუშევარს „აბლაკატებს“ ურიგებენ ოღონდაც ბატონს დაეჯახნოთო. მართლაც, რომ ორივე მხარე შესაბრაღისნი არიან, სასოწარკვეთილებისა გამო მათ აღარ იცინა, თუ

ქერთხევის ხეობის სოფელ დუმაცხოვის ისტორია და ეთნოლოგია

და ეკლესიაში გაჩერდა. შემოვიყვანე ძალა-უნებურად ყველა მდებარე, აიღეს სეპისკვერი და სისწრაფით უკანვე ბრუნდებოდნენ და თან კაცების შიშით კანკალებდნენ, არ გავიდნანძლოთო. მართლაც, გაღანძვლა არ დაჰკლებიათ, მაგრამ ღანძლავს ვინდა ჩიოდა, რომ ცოცხლები გაღანძვნენ... როგორც იყო, ჩვენ, ეკლესიის კრებულმა დავამშვიდეთ დუმაცხოვლები იმ პირობით, რომ თქვენს სოფელში სეტყვა არ მოვაო; მაგრამ დალოცვილმა ბუნებამ, თითქოს ჩვენი ჯიბრი გახდაო, აღარ დაგვინდო და წარამარა წამოუშენს ხოლმე როგორც სხვაგან, აგრეთვე დუმაცხოვშიაც და როგორ სეტყვას, ახლა ის უნდა ბრძანოთ და!! თვითონ მოხუცებული ამბობენ, მომწრე არა ვართ ამისთანა მსხვილი სეტყვისაო! თითქმის ვარიას კვერცხის ოდენებს წამოუშენს ხოლმე და რასაც ხვდება, სულ დედამიწასთან ასწორებს. ახლა თქვენ ისა ბბანეთ, თუ რა წყველა-კრულვა მიღვია თურმე დუმაცხოველებსაგან მე, მედავიტენეს, რაღვან ქალები მე შევუშე ეკლესიაში და, ამათს ჭკუაში, იმისთვის ისეტყვება ჩქარ-ჩქარა დუმაცხოვი; მართალია, პირდაპირ საყვედურის მეტს,

ცუდს ვერაფერს მეუბნებიან, მაგრამ ზურგთ უკან, თურმე, რამდენ სეტყვასაც გაღმოსვრის ჩვენი ძვირფასი ბუნება, იმდენს უწმალურ ღანძლავს მითვლიან, სწორედ, საშინელი ჩვეულებაა, რომ სამწუხარო არ იყოს. ძალიან გასაკვირვებელია ეს ჩვეულება, საიდან არის მოგონილი?! ან რა მიზეზით დაწყობილი?! გამიგონია-კი, რომ ყოფილა უწინ, თურმე, ეს ჩვეულება სხვა სოფლებშიაც, მაგრამ ახლა, ამ ჩვენს კუთხეზე და ან მოშორებით, რომელი სოფლები ან ვიცი და ან გამიგონია, არსად არ არის და აქ როგორღა დარჩა ასე უცვლელად ეს ჩვეულება, სწორედ არ ვიცი!“ (გაზეთი „ცნობის ფურცელი“. 1897, №226, გვ. 3-4). - აღნიშნული სტატია გრძელდება ავტორისთვის კიდევ ერთი უცნაური „გასაოცარი“ ტრადიციით, რომელსაც ის იმერეთის ერთ-ერთ სოფელ ღორაში შესწრება 9 ივნისს და რომელსაც „ვარდობა“ რქმევია. როგორც ამ წერილიდან შევიძლია ვიმსჯელოთ, სოფელ დუმაცხოვის მცხოვრებლებს XIX საუკუნის მიწურულს, საკმაოდ კარგი ემიპირიული მასსოვრობა ჰქონიათ, როგორ აღენიშნათ რომელიმე დღესასწაული და საკუთარი ლოკალური დანამატებიც ღრმად ჩაუნერგავთ. როგორც ჩანს, სტატიის ავტორი „ალელი მედავიტენე“, ასევე ქერთხევის ხეობის სოფელ ალიდან უნდა იყოს. ალი ძველი ქალაქი, ამჟამად კი დიდი სოფელია, რომელზეც ჩვენ შემდგომშიც გვექნება კვლევა, თუმცა ამ ეტაპზე დავეკმაყოფილოთ იმ ვარაუდით, რომ „ალელ მედავიტენეს“ არ უნდა სცოდნოდა სოფლის ამ ტრადიციის შესახებ, არც სასულიერო პირი ჩანს სოფელ დუმაცხოვში აღზრდილი, სხვაგვარად სოფლის ამ ტრადიციის დარღვევას არ შეეცდებოდნენ. ერთია ვიმსჯელოთ მართლაც ქალების ტაძარში შესვლამ განაპირობა, თუ არა სოფელში განუწყვეტელი სეტყვა (რაც ნაკლებ სავარაუდოა, რომ რეალობა იყოს) მეორე - ფაქტია, რომ სოფელს ეს ღრმად სწამდა და ამ ტრადიციის დარღვევას ძნელად შეეგუებოდა. როგორც ავტორი ბრძანებს, მას არ სმენია მსგავსი ჩვეულების შესახებ ამ მხარესა და ახლომახლო მხარეებში, სავარაუდოა, რომ ეს ჩვეულება გაღმობიანეს, როგორც ზემოთ ერთხელ უკვე აღვნიშნეთ, ადგილობრივთა ნაწილი (პაპუაშვილები) თვლიან, რომ ისინი მთიდან არიან ჩამოსულნი. ქართველი კაცისთვის მამა-პაპიდან მომდინარე ჩვეულების დარღვევა დალატის ტოლფასია. ავტორის თქმით, აქაური მკვიდრნი ამ ჩვეულებათა დამრღვევებს სასტიკად უსწორდებიან, მაგრამ მას მხოლოდ საყვედურს უცხადებენ. სავარაუდოა, რომ ავტორი გაზვიადებულად წარმოგვიჩენს ამ „სასტიკ“ ტრადიციას, წინააღმდეგ შემთხვევაში აქაურნი „ალელ მედავიტენესაც“ შესაბამისად გაუსწორდებოდნენ.

სოფელი დუმაცხოვი, არც დღესაა მდიდარი სოფელი, მოსახლეობისგანაც იცლება. 2014 წლის მონაცემებით აქ 111 მცხოვრებია. ეთნიკური შემადგენლობით მთლიანად ქართველები არიან. დანგრეულია სოფლის სკოლა და აქაური ბავშვები ახლომახლო სოფლებში და იქ არსებულ სკოლებში სწავლობენ. აქ, ძირითადად, მოჰყავთ სიმინდი და ლობიო, მოჰყავთ პურიც, მაგრამ მისი მოსავლიანობით დიდად არ გამოირჩევა. გავრცელებულია ქლიავის სხვადასხვა ჯიშები. ყურძნის ენდემური ჯიშები არაა, თუმცა შესხვებით დირბულას, ადესას, თავგვერს, ჩინურს და ა.შ.

სოფელში, წმიდა კვირიკესა და ივლიტას სასაფლაოს ეზოში, სოფლის სასაფლაოა, აქ ბევრი საფლაოე დღეს მიტოვებულია, არის ძველი ქვები, რომლებზეც მეტ-ნაკლებად შემორჩენილია წარწერები და სხვადასხვა ფიგურები, რომელთა სასწრაფო ფიქსაციაა საჭირო. ზოგიერთი საფლავის ქვიდან დღეისთვის შესაძლებელია ეპიტაფის ამოკითხვა, რომელიც სოფლის ისტორიაზე, აქ მცხოვრებთა ვინაობაზე, ხშირად პროფესიაზე, ოჯახურ მდგომარეობასა და პოლიტიკურ მდგომარეობაზეც კი ბევრ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდიან. მაგალითად, დუმაცხოვის სასაფლაოზე 1920-იანი წლების მიწურულის საფლავის ქვები განსაკუთრებით დიდი ზომისაა, მაღალია და ზედ საბჭოთა სიმბოლიკაც - ნამგალი და უროც დატანილია. აქვე ერთ ქვაზე ნახავთ ჯვარს, სადაც ჯვარი არ გვხვდება იქ თევზის ბარელიეფია, რაც ქრისტიანობის ერთ-ერთი სიმბოლოა და აგრესიული ათეიზმის პერიოდში, როგორც ჩანს, გარდაცვლილის საფლავს ამ სახის ქვებით ამკობდნენ. ზოგი კი გამქრალია.

დროსთან ერთად იცვლებოდა საფლავის ტიპები და მათი დათარიღება უკვე წარწერის გარეშეცაა შესაძლებელი. აქვეა საფლავის ქვაზე ამოკვეთილი ქალბატონის გამოსახულება, რომლის მიხედვითაც შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმ პერიოდის სამოსის ტიპებზე, ვიზუალურ თავისებურებებზე. ასევე საინტერესოა საფლავის ქვებზე არსებული ამოღრმავებული საფურცები, სადაც წვიმის შემდეგ წყალი გროვდებოდა და როდესაც, მაგალითად, მწყურვავი ფრინველები დალევდნენ მიცვალებული ამით გარდაცვალების შემდეგაც მაღლს გასცემდა. ყოველივე ამის გათვალისწინებით, წარსულის რეკონსტრუქციისთვის, მრავალმხრივი კვლევა-ძიებაა საჭირო, რაც ამ ხეობისთვის ბოლო პერიოდში დიდი იშვიათობაა.

დუმაცხოვი, ისევე როგორც საქართველოს მრავალი სოფელი, კვლავ ნათელი მომავლის მოლოდინშია და სურთ გაჩნდეს შესაბამისი საარსებო პირობები, დაფასდეს სოფლის მეურნეობა, რათა შეძლონ სოფელში დაბრუნება და ცხოვრება.

გიორგი ჩუბინიძე

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის (ფაკულტეტის), ისტორიის მიმართულების IV კურსის სტუდენტი



რა ქმნან მთავრობა ხან ერთ „წევრს“ გზავნის გამოსადიებლად, ხან მეორეს, ხან მესამეს და ასე გადის წლები საქმის დაუბოლოვებლად“ (გაზეთი „ცნობის ფურცელი“. 1897, №653, გვ. 3).

ყოველივემ წარმოშვა გლეხებისა და თავადების დაუსრულებელი დაპირისპირება, როგორც ჩანს, ისინი აღარ უზიარებდნენ საკუთარ ნაშრომს მაღალ ფენას. როგორც სტატიის ავტორი გადმოგვცემს, ყოველივემ დიდად დააზარალა ორივე მხარე. საინტერესო ცნობაა, რომ ამ პერიოდში, სოფელი დუმაცხოვი კონსტანტინე წერეთელის საკუთრება ყოფილა.

საყურადღებო და მნიშვნელოვან ცნობას გვაწვდის გაზეთ „ცნობის ფურცელი“ 1897 წლის ერთ-ერთი ნომერი, რომელშიც სტატიის ავტორი, ვინმე „ალელი მედავიტენე“ სათაურით „ხალხის გასაოცარი ჩვეულება“ - წერს, რომ აქ ერთი საინტერესო ჩვეულება ჰქონიათ. დღესასწაულებში ეკლესიაში ქალებს არ უშვებენ, მათი რწმენა-წარმოდგენით თუ ქალი მანც შევიდა იმ წელს საშინელი სეტყვა მოვა და მთელ მოსავალს გაანადგურებს. საინტერესოა ისიც, რომ ამ სტატიიდან ვიგებთ, რომ ეს სოფელი ამ პერიოდისთვის შტატია, ანუ დღევანდელი გაგებით სათემო სოფელი ყოფილა. საინტერესოა სტატიის სრული ვერსია:

„სოფელ დუმაცხოვში ოც-და-ათი კომლი მცხოვრებელია, რომელთა შორის ოთხი კომლი თავადია... დუმაცხოვი არის შტატი და ყოველ დღესასწაულ დღეებში მისი ზედ-მიწერილი სოფელელები იკრიბებიან ამ სოფლის ეკლესიაში წირვა-ლოცვის მოსასმენათ. დუმაცხოველებს ჩვეულება აქვთ ადგომა დღეს, რაც უნდა კორიანტელი და სიცივე იყოს, წირვის მოსასმენად ქალებს არ შეუშვებენ ეკლესიაში, თუნდა, რომ კიდევაც სიცივეთ სულ დაწყდნენ. ამბობენ: თუ შევუშვით, ჩვენს სოფელში სეტყვა მოვა და ჭირნახულ-ვენახები სულ წაგვიხდებაო. ამ კუთხის ქართველ ხალხს-კი ჩვეულება აქვთ, ადგომა დღეს თუ წირვა არ მოისმინეს და სეპისკვერი არ აიღეს, ხორცი არ ეჭმევათ, ამიტომ ქალებიც არავენ აკლდება, სულ გარედ დგანან და სეპისკვერსაც გარედ იღებენ. ამ მიზეზით ბევრი უმსხვერპლია მჭკვალს. ეს ჩვეულება მამა-პაპიდან სდებიან და ახლაც და ახლაც მტკიცედ და მკვიდრათ ასრულებენ ქართულ ანდაზას: „ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო“. თუ უცხო ქალმა, რომელმაც აქაურის ჩვეულებისა არა იცის-რა, ამ სოფლის ეკლესიაში წირვის მოსმენა მოიწადინა, ის დღე თქვენს მტერს დაადგეს, რაც დღე მაშინ იმ ქალს დაადგება! თუნდ რომ თავადის განათლებული ქალიც იყოს, ვაი იმ საცოდავის ბრალი, დიდ შეურაცხყოფას მიაყენებენ იქ შესვლისათვის და სულ დაამწარებენ ბრწინვალე დღეებს! ყველა მკითხველი უკვე მიხვდებით, თუ ვის შეუძლიან ამ უგუნურ ჩვეულების მოსპობა, მაგრამ, გასაკვირველია დემეტრის, ვის უტყუებს სახსოვრად ამ ჩვეულებას?! მე, როგორც ამ სოფლის მედავიტენე, მოვალედ ვრაცხდი ჩემს თავს, ეს ჩვეულება მომესპო და შემდეგ წირვის გამოსვლისა, როდესაც ყველა მამრმა სეპისკვერი აიღო და გარედ გამოვიდნენ, მღვდელიც თანხმა გახდა, რომ სეპისკვერი გარედ აღარ გამოეტანა ქალებისათვის

- კოოპერატივები -

მნიშვნელოვანი დახმარება სახელმწიფოსაგან

დღევანდელ ნომერში კიდევ ერთ წარმატებულ კოოპერატივს გაგაცნობთ. კოოპერატივს, რომელსაც სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა გადაეცა. აღსანიშნავია, რომ სოფლის მეურნეობას, დღესდღეობით, უდიდესი ყურადღება ექცევა სახელმწიფოს მხრიდან, ამ დარგში ჩაბმულ მოქალაქეებს კი მოქნილ და ხელმისაწვდომ პროგრამებს სთავაზობენ. კოოპერატივის დირექტორი რამაზ ლომიძე პროგრამის სიკეთეებზე თავად ესაუბრა „ხაშურის მოამბე“-ს.

ბატონო რამაზ, როდის შეიქმნა თქვენი კოოპერატივი?
- კოოპერატივი „კოდისწყაროს ტბა“ 2016 წელს შეიქმნა. თავდაპირველად, კოოპერატივში 5 მეპაიე ვიყავით, შემდგომ წელს კი რაოდენობა 88 მეპაიეთი გაიზარდა. ჩვენს მფლობელობაში 200 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვია,



რომელთა საშუალებითაც პროგრამის შედეგად დაფინანსებულთა შორის მოვხვდით. მოგეხსენებათ, პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად დადგენილი ერთ-ერთი პირობის თანახმად, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მეპაიეთა მფლობელობაში არსებული ფურების ან მოხარდი საქონლის რაოდენობა, ჯამურად, უნდა შეადგენდეს, არანაკლებ 200 სულს.

- მოგვიყევით პროგრამის შესახებ..
- ეს გახლავთ მაღალმთიან რეგიონებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებუ-



ლი სათიბ-საძოვრების რაციონალურად გამოყენების სახელმწიფო პროგრამა, რომლის ფარგლებში მივიღეთ სასოფლო სამეურნეო ტექნიკა: თივის წნეხ-ამკრეფი, ფოცხი მოსაგროვებლად, სათიბელა, ბუჩქების გასაწმენდი და მისაბმელი, რითაც შესაძლებელია ტვირთის გადატანა. ასევე, ველოდებით გუთანს და ტრაქტორს. პროექტი საერთო ჯამში 200 000 ლარის ღირებულებისაა, რომლის 90%-ს პროგრამა გვიფინანსებს, ხოლო, 10%-ს კოოპერატივის ძალებით დაფარავთ. გარდა ტექნიკისა, პროგრამის ფარგლებში, იჯარით, გადმოგვეცემა 300 ჰექტარი მიწა.

აღნიშნული პროგრამა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს ხელშეწყობით ხორციელდება, რომლის უმთავრეს მიზანსაც სოფლისა და სოფლის მეურნეობის აღორძინების ხელშეწყობა, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების გზით, სოფლის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა, სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროდუქტიულობისა და კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესება, წარმოების რენტაბელობის ამაღლება და ეროვნული ეკონომიკის განვითარება წარმოადგენს. აქვე აღვნიშნავ, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხაშურის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო საკონსულტაციო სამსახურის წამყვან როლს და ამ სფეროში გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯებს. სამსახური აქტიურ კონსულტაციებს და შეხვედრებს მართავს სოფლის მეურნეობაში ჩართულ მოსახლეობასთან, ჩვენს რაიონში ამ დარგის განვითარებისათვის.

თ. ახალკაცი

მესიჯი შთამომავლობას

საირმეში, მდინარე წყალწითელას მომაჯადოებელ ხეობაში, მესხეთის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე, საკმაოდ ძნელად, თითქმის მიუვალ ადგილზე, ფრიალო კლდეზე, დიდი ასობით ლამაზი წარწერაა: „ჩვენ რეზიკო, კოტკეთენგო, ვანო ვიყავით აქ.. თარიღით და ხელმოწერებით. იქვე, საირმეში, წყალწითელას მარცხენა მხარეზე, სამხრეთით, უზარმაზარი წიფლის ხეებია, 40მ. სიმაღლე იქნება, აზიდული — , ხუთი კაცი ვერ შემოაწვდენდა ხელს.



აქაც გლუვ, ნაცრისფერ ქერქზე უამრავი წარწერაა ამოჭრილი. რა ამოძრავებდათ ახალგაზრდებს, კლდეზე რომ აძვრნენ, ან საათობით რომ იდგნენ უზარმაზარი წიფლის ძირში და დანით ალაპაჯებდნენ ულამაზეს ხეებს.

მაშინ, ამ წარწერებს არ მივაქციე ყურადღება. შემდეგში, ხშირად მხვდებოდა მსგავსი წარწერები, თითქმის ყველგან, სადაც ვყოფილვარ, სამშობლოში თუ მის ფარგლებს გარეთ. ახლა მივხვდი, ისინი „მარკას“ უკეთებდნენ, მათი აზრით, რაღაც მნიშვნელოვანს, თუ მთების არა - ისტორიულ ძეგლებს, ტაძრებს.. წერენ, ვინ არიან, საიდან მოვიდნენ, რა მოეწონათ, უმატებენ დაბადების წელს და სხვა.

ამ ადამიანებს რაღაც ძლიერი ინსტიქტი ამოძრავებდათ, გამოუცნობი ახალგაზრდობისა.

გვიან მივხვდი, რომ ეს არის ხულიგნობა, ან ვანდალიზმი, ეს ალბათ დაბალი ფორმაა, სადაც მკვანდება ერთ-ერთი უმაღლესი ადამიანური ამბიციო - სურვილი უკვდავოს საკუთარი სახელი, გააგრძელოს არსებობა ფიზიკური ცხოვრების დასრულების შემდეგ, დარჩეს შთამომავლობის ხსოვნაში, ადამიანთა უძრაველობის სურვილი ხომ ეს არის, იყოს გამორჩეული, ეს ალბათ მესიჯია შთამომავლობისადმი.

ერთი სიტყვით, უკვდავო შენი სახელი შეიძლება სხვადასხვაგვარად: ზოგი აგებს ტაძრებს, ზოგი ანგრევს, წვავს, ერთნი ტოვებენ ბრწყინვალე ქანდაკებებს, მეორენი ლურსმნით წარწერებს აკეთებენ ძეგლებზე, სახლებზე, არქიტექტურულ ნაგებობებზე.

სად არ ნახავთ წარწერებს, სვეტიცხოველზე, ალავერდში, ყინწვისში, გელათში, ვარიანში. ასეთი წარწერები ყოფილა კოლიხეუმზე, პირამიდებზე, ტაურზე. პირადად ვნახე წარწერები პართენონზე და წმინდა ვიტუს ტაძარზე პრაღაში. წარწერა ყოფილა ლუერშიც, საფრანგეთში სოფელ სანრემოში, შესანიშნავი რომაული თაღი წარწერებით ყოფილა გატენილი. ძეგლებზე ამოქარგული ნაცოდვილარით, როგორც ჩანს, მათ სურთ შესძახონ ძლიერთა ამ ქვეყნისათა, რომ ამ ქალაქში, მთაზე თუ სკოლაში, ცხოვრობს ვინმე კუკურა, სერგეი, მამედა ან ხაჩიკა.

საინტერესო ის არის, რომ თავის სახელის უკვდავყოფას ამ სახით, ქალები არ მიმართავენ, ისინი ალბათ ნაკლებად ამბიციურები არიან.

თავისი სახელის უკვდავყოფა, როგორც ჩანს, მოღიანად მამაკაცური სინდრომია.

კლიმენტი სუთიაშვილი



სამბისტთა წარმატება ქუთაისში

ხაშურის საჭიდაო სკოლას რომ მაღალი რეპუტაცია აქვს მთელს ქვეყანაში, არახალი ფაქტია. ჩვენი მოჭიდავეები, როგორც წესი, რესპუბლიკური მასშტაბის თითქმის ყველა ტურნირში იღებენ მონაწილეობას და ხმაამაღალ სიტყვასაც ამბობენ. ამჯერად, ახალგაზრდა სამბისტებმა გვასახელეს (მწვრთნელი ბუხუტი ბუხრიკიძე). ახლახანს, ქუთაისში გამართულ გიგი სარდანაძის სახელობის ტურნირზე, მათ სამი პირველი, სამი - მეორე და, ერთბაშად, ხუთი



მესამე ადგილი მოიპოვეს. ჩემპიონობა იზეიმეს თამაზ კაპანაძემ (42კგ.), გიორგი ნასყიდაშვილმა (60კგ.) და ნოდარ ბუხრიკიძემ. ვერცხლის მედალი ირგუნეს დათო ხაჩიძემ (42კგ.), გიორგი მესხიშვილმა (48კგ.) და გიორგი ხაჩიძემ (48კგ.), მესამე საპრიზო ადგილზე კი - გიორგი ნოზაძე (42 კგ.), ზურა ხაჩიძე (48 კგ.), გიორგი ბედოშვილი (56კგ.), უჩა გელაშვილი (60კგ.) და გიორგი ლომიძე (87კგ.) გავიდნენ.

გაზაფხულის მოახლოებასთან ერთად, ტურნირების სიმრავლეც იმატებს და იმედია, ჩვენი სპორტსმენები კვლავაც გვასახელებენ.



კვანძის რკინიგზელთა ჩემპიონატში გამარჯვებულები გამოვლინდნენ

ხაშურის რკინიგზის კვანძის პროფორგანიზაციაში (თავჯდომარე მიღერი ლომიძე) შეუქცევადი პროცესია ორგანიზაციის წევრთა პროფესიული ინტერესების დაცვა და მათთვის ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა. ამ დღეებში, ამ ორგანიზაციის ინიციატივით, კვანძის მასშტაბით, სამაგიდო თამაშების ჩემპიონატი გაიმართა, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია. გამოვლინდნენ ჩემპიონები და პრიზორები, რომლებიც დიპლომებით და წამახალისებელი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ. ჭადრაკში ჩემპიონობა არაგვის დაუთმო უჩა ნადირაშვილმა (სალოკომოტივო დეპო), მეორე-მესამე ადგილები კი, შესაბამისად, ალექსანდრე ნემსაძეს(სტს) და გიორგი დანგაძეს (სადგური ხაშური) ერგოთ. შაშში ადგილები ასე გადანაწილდა: I ადგილი - თამაზ მუმლაძე(სავაგონო დეპო), მეორე-ხაშურ დავითაძე(სავაგონო დეპო), მესამე კი - ნუგზარ ელისაშვილი(სტს). ნარდში კი ჩემპიონი გიგი თიგოშვილი გახდა(სალიანდაგო სამმართველო), მეორე და მესამე ადგილებზე დიმიტრი კაკიაშვილი (სავაგონო დეპო) და ნუგზარ ჯაფარაშვილი გავიდნენ (ენერგომომარაგების სამმართველო).



- მუსიკა -

ლიკა კალმახელიძის და სოფიო ნოზაძის წარმატება

ხაშურის სამუსიკო სკოლის მოსწავლეებზე - ლიკა კალმახელიძესა და სოფიო ნოზაძეზე მართლაც დაუსრულებლად შეიძლება საუბარი. მათ წარმატებაზე ჩვენი გახუთი არაერთხელ წერდა და აი, კიდევ ერთი აღიარება. წინა წლის მიწურულს, საქართველოს ხელოვანთა კავშირის

ვალერი შიუკაშვილის სახელობის ეროვნული კონკურსი, რომელშიც სოფიო ნოზაძე (I საჯარო სკოლა, IV კლასი) იღებდა მონაწილეობას. სოფომ კონკურსში პირველი პრემია მოიპოვა და რაც ყველაზე სასიამოვნოა, იგი ვალერი შიუკაშვილის სახელობის სტიპენდიანტი გახდა.

გვიხარია ძალიან ამ საოცარი ბავშვების წარმატება.

ბრავო, მათ!

ბრავო, მათ პედაგოგს ფატი სადალაშვილს!

ბრავო, მთელს სამუსიკო სკოლას!



და აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ეგიდით, ბათუმში, დიდი საერთაშორისო ფესტივალი გაიმართა, რომელშიც საქართველოდან 18 მოსწავლე პერსონალურად იყო მიწვეული. მათ შორის გახლდათ ლიკა კალმახელიძე, რომელმაც ბათუმის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად, შეასრულა ბერიოს კონცერტი „ლა-მინორი“. სხვათაშორის, ლიკამ ამ ორკესტრთან ერთად გასულ წელსაც ააუღერა ვიოლინო და მაშინ მიღებული უმაღლესი შეფასებაც იყო საფუძველი, რომ წელსაც პერსონალურად მიიწვიეს. შედეგი - ამჟერადაც უმაღლესი შეფასება და ოვაციები.

პარალელურად, თბილისში, მუსიკალურ აკადემიაში, გაიმართა




ყველა ქალაქს, მასზე შეყვარებული მხატვარი, პოეტი თუ ფოტოგრაფი ჰყავს. ჩვენს ქალაქს რომ ამ მხრივ ძალიან გაუმართლა, მანაც იცის და ჩვენც კარგად მოგვეხსენება. სიყვარული ბავშვობისდროინდელი, მუდმივი და უღალატო რომაა, არჩილ კაპანაძის ფოტოებიდანაც ჩანს. საკუთარ ქალაქზე შეყვარებული ფოტოგრაფის ხაშური ნატურალური ფერებისაა, მის ფოტოებში მზის ჩასვლაც და ამოსვლაც, თავისებური, "ხაშურული" ელფერისაა. გაფიქრებინებს, მოგანდომებს, ადგე და ის ადგილები ნახო, რასაც თავად ეძებს ჩვენს მუნიციპალიტეტში, ფოტოზე ასახავს და ახალ გამომსახველობას სძენს. როგორც თავად ამბობს, მის ფოტოებს სხვადასხვა

- რომელი იყო პირველი ფოტო, რომელიც გადაიღე და თქვი, რომ გამოგივიდა?

- ეს იყო 2014 წელს, მდინარე გადავიდე, სადაც მზის ჩასვლა იყო აღბეჭდილი. ეს ფოტო მობილური ტელეფონით გადავიღე, თუმცა ძალიან კარგი გამოვიდა, მივხვდი, რომ ის კადრი დავიჭირე, რომელიც მინდოდა. შემდეგ უკვე მეგობრებთან ერთად დავიწყე მუშაობა. მათგან მივიღე გამოცდილება. მერე უკვე ფოტოაპარატიც შევიძინე და პირველი ადგილი, რაც გადავიღე, სვანეთი იყო.


- ფოტოგრაფია -

საინტერესო ხელოვანი



დანიშნულება აქვს, ერთ-ერთ ფუნქციას კი, ჩვენი ქალაქის პოპულარიაზაცია წარმოადგენს. თუ რითი ჰგავს, ან განსხვავდება სხვა ფოტოგრაფებისგან, საიდან დაიწყო, თავად არჩილი გვესაუბრება:

-რამდენიმე წელია ამ პროფესიით ვარ დაკავებული. თავდაპირველად მოყვარული ვიყავი და ძირითად საქმიანობასთან პარალელურად ფოტოებსაც



ვიღებდი. რადგან ფოტოაპარატი არ მქონდა, მობილური ტელეფონით ვიღებდი. იმდენად გამიტაცა ამ საქმემ, გადავწყვიტე ფოტოგრაფიით პროფესიონალურად დაკავებულიყავი. ძირითადად, ხაშურში დაბრუნების შემდეგ დავიწყე აქტიური მუშაობა.



- რაიმე განათლება გაქვს ამ სფეროში?

- კი, მაქვს. ძალიან ცნობილი ფოტოგრაფისგან, რომელიც ჩემი მეგობარია, მივიღე როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული ცოდნაც. მასწავლეს, როგორ უნდა გადავიღო ჩრდილი, სივრცე, ბევრი დეტალი და ნიუანსი, ტექნიკური მხარეები, ყველაფერი, რაც ფოტოგრაფიისთვისაა აუცილებელი. ფოტოგრაფია, დამეთანხმებით, მხოლოდ ფოტოს გადაღებას არ ნიშნავს. ესაა ხელოვნება, რომელიც თავის თავში ბევრ შინაარსს მოიცავს და აერთიანებს, ამისათვის კი, განათლებას დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩემი მეგობრებისგან ვსწავლობ, ვიღებ რჩევებს და დაინტერესებულ ადამიანებს, მეც ვაძლევ რჩევებს.



- როგორია შენ ობიექტივში დანახული ხაშური?

- ხაშური ჩემი ნაწილია.

ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს, ყოველთვის სხვა ემოციით ველოდი პარასკევს, რომ ჩემ ქალაქში დაბრუნებულიყავი. ახლა უკვე ფოტოებში ვცდილობ ჩემი განცდების, დამოკიდებულებების გამოხატვას ჩემი ქალაქის მიმართ. და ის, რასაც მე ვხედავ, მინდა, სხვებსაც ვაჩვენო. ფოტოგრაფიას აქვს ერთგვარი სარეკლამო ფუნქცია. ახალ წელს გადაღებულმა ჩემმა ფოტოებმა, დიდი მოწონება დაიმსახურეს, ბევრს დაჯერებაც უჭირდა, რომ ეს ხაშური იყო. ამ მიზეზის გამოც, მინდა, ჩემი ობიექტივი ყოველთვის ჩემი ქალაქისკენ იყოს მიმართული.

- ყველაზე საინტერესო ადგილი შენთვის, როგორც ფოტოგრაფისთვის, რომელია?

- სოფელ ჯვართმუხაში არის ძალიან პატარა ტბა, საინტერესო ფოტოგრაფისთვის, ძალიან ლამაზია ყელეთი. ვცდილობ, ისეთი ადგილები გადავიღო, რომელიც ნაკლებად ცნობილია თვითონ ხაშურელებისთვის. ასევე, მნიშვნელოვანია ტურიზმის განვითარებისათვის.

- როგორ ფიქრობ, რა არის ნიშანი, რომელიც სხვა ფოტოგრაფებისგან გამოგარჩევს?

- ყველა ფოტოგრაფისთვის თავისი ხელწერა აქვს და თავისი ნიშა უკავია. მე ვფიქრობ, ჩემი ნიშა ნატურალიზმია. ყოველგვარი დამუშავების გარეშე ვიღებ ფოტოს, ვიჭერ კადრს, რომელსაც ფოტოგრაფისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ფოტოგრაფია არასდროს დგას ერთ ადგილას, პირიქით, სულ განვითარების პროცესშია, რაც გაძლევს იმის სტიმულს, რომ განვითარდე, აუწყო ფეხი თანამედროვე მოთხოვნებს.

- გამოფენებში ან რაიმე ფოტოკონკურსში თუ გაქვს მონაწილეობა მიღებული?

- ჯერჯერობით არა, ვაგროვებ საინტერესო ფოტოებს, მინდა, ხაშურის ამსახველი ფოტოები იყოს ეს.

- ფოტო, რომელიც გაფიქრებინებს, რომ ფოტოაპარატის აღება თუნდაც მარტო ამ ფოტოდ ღირდა?

- რამდენიმე ფოტოა, რომელიც გამორჩეულად მომწონს. ერთერთია ტაბაკდის ჩანჩქერი. სახარების კითხვის დროს გადაღებული ფოტო, რომელზეც ბეჭდის



ჩრდილი ჩანს.

- სად ხედავ შენ თავს სამომავლოდ?

- ესაა ფოტოგრაფია და მეორე - ტურიზმი. რომელიც განვითარებადი და პერსპექტიულია. მინდა, ჩემი ფოტოებიც იყოს ჩემი ქალაქის განვითარების ისტორიის თანამონაწილე.

თ. ჭავახიშვილი

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27. E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499. მ-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.